

# სოფელ დისველში მოსახლეობა სახნავ-სათესი მიწების დაბრუნებას ითხოვს

29 ნოემბერი 15:19



რეგიონი



**ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ დისველში მოსახლეობა სახნავ-სათესი მიწების დაბრუნებას და სარწყავი არხების პრობლემის მოგვარებას ითხოვს.**

სოფელ დისველში დღეისათვის 97 კომლი ცხოვრობს. აქ ადგილობრივები მესაქონლეობას და მინათმოქმედებას ეწევიან. სოფელში აჭარის მაღალმთიანეთიდან მენყრის შედეგად დაზარალებული ოჯახები დასახლდნენ.

ადგილობრივების მთავარი პრობლემა სარწყავი არხების არარსებობა, სახნავ-სათესი მიწების სიმცირე და გაზიფიკაციის არქონაა. სასმელი წყალი გრაფიკით, დღეში 2 საათით მიეწოდებათ.


როგორც მაცხოვრებლები განმარტავენ, პრობლემის მოგვარებისთვის ადგილობრივ ხელისუფლებას ბევრჯერ მიმართეს, თუმცა, უშედეგოდ.

"ხულოს რაიონიდან "ქედლებიდან" აქეთ ჩამოვსახლდით, ძირითადი შემოსავალი მესაქონლეობიდან და სახნავ-სათესი მიწებიდან გვაქვს, თუმცა მუნიციპალიტეტი ვერ უზრუნველყოფს იმას, რომ სარწყავი წყალი გვქონდეს, რათა მოსავალი მოვიყვანოთ. მხოლოდ ღმერთის იმედად ვართ, ბევრჯერ იყო შეხვედრა და

სულ მოგვარებას გვპირდებიან, თუმცა, არაფერი კეთდება,“ – განაცხადა დისველში მცხოვრებმა მერაბ ქედელიძემ.

ადგილობრივების ინფორმაციით, 2008 წელს სოფელში უკრაინელი ინვესტორი შევიდა და მიწის ნაკვეთები იყიდა, მოსახლეობა კი, მიწების გარეშე დატოვა. სოფელს სულ 245 ჰ მიწის ფართობი ჰქონდა, აქედან 100 ჰ უკრაინელებმა შეიძინეს.

ცნობისთვის, ორგანიზაციის "მწვანე ალტერნატივა" ორგანიზებით, სოფელ დისველში მედია ტური მოეწყო. ჟურნალისტები ადგილზე გაეცნენ სოფელში არსებულ პრობლემებს.

 გიორგი სირაძე